

8-9

თბილისის ავღონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამსნატვრო აკადემია



ACADEMIA

2020-2021



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
TBILISI STATE ACADEMY OF ART

რედაქტორი

მარინე ბულია

სარედაქციო საბჭო

გია გუგუშვილი, გია ბუღაძე, ვახტანგ ლიჩელი,
ნინო ღაღანიძე, ნინო ჭოღოშვილი,
ნანა კუპრაშვილი, ანა კლდიაშვილი, ირინა ელიზბარაშვილი,
მზია ჯანჯალია, მაია მანია, ლიანა ანთელავა

ინგლისური ტექსტის რედაქტორი

თამარ ჯანაშია

დიზაინი

თამაზ ვარვარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ირმა ლიპარტელიანი

Editor

Marina Bulia

Editorial board

Gia Gugushvili, Gia Bugadze, Vakhtang Licheli,
Nino Gaganidze, Nino Tchogoshvili,
Nana Kuprashvili, Anna Kldiashvili, Irina Elizbarashvili,
Mzia Janjalia, Maia Mania, Liana Antelava

Editing of English texts

Tamar Janashia

Design by

Tamaz Varvaridze

Computer services provided by

Irma Liparteliani

გარეკანზე: მერაბ აბრამიშვილი, პალმა, 2000; ბაგრატის ტაძარი, სვეტის კაპიტელი, 1003

Front cover: Merab Abramishvili, Palm Tree, 2000; Bagrati Cathedral, The column capital of the porch, 1003

www.art.edu.ge

თსსა, 2021

TSAA, 2021

ISSN 1512-0899

- 92 მარიამ დავითაშვილი**
აღმოსავლური მედიტაციების გამოყენება
ფოტოგრაფიის შესწავლის პროცესში
- 95 Mariam Davitashvili**
Use of the Oriental Meditation Techniques during the Process
of Studying Photography
- 101 გიორგი ზაქარაშვილი**
კულტურის სფეროს სარგებლიანობა, ჩართულობა და
ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოში
- 106 Giorgi Zakarashvili**
Usefulness, Inclusion and Accessibility of Culture for the
Ethnic Minorities of Georgia

2021

- 107 მაია იზორია**
ანა კლდიაშვილი
თრიალეთის პეტროგლიფების სემანტიკის შესახებ
- 111 Maia Izoria**
Ana Kldiashvili
On the Semantics of the Trialeti Petroglyphs
- 116 არჩილ ჭოდომშილი**
ნეოლითური სახლის განვითარების შესახებ
(მეორე ნაწილი)
- 131 Archil Chogoshvili**
On Development of the Neolithic House
(Part two)
- 132 ირმა მათიაშვილი**
სამეფო ემბლემის ისტორიული ასპექტები
XI ს-ის ქართულ რელიეფში
- 139 Irma Matiashvili**
Historical Aspects of the Royal Emblem and the Georgian
Stone Reliefs of the 11th Century
- 145 ეკატერინე კვაჭატაძე**
ეპისკოპოს პართენოზ ხარჭაშნელის საფლავის ფილა
- 150 Ekaterine Kvachatadze**
The Gravestone of Bishop Parthenoz of Kharchashani
- 157 თეა ინჭირველი**
ტრადიციისა და ნოვაციის პრობლემა ახალ ხატურებაში
- 163 Thea Intskirveli**
The Problem of Tradition and Novation in Contemporary Icon Painting
- 169 ანა მგალობლიშვილი**
ზოგიერთი საკითხი ნეობიზანტიური ხელოვნების შესახებ
- 172 Ana Mgaloblishvili**
Some Issues of Neo-Byzantine Art
- 176 ნინო ჭინჭარაული**
ლენინიანა – ქართული ფერწერის მივიწყებული ფანტომი
- 190 Nino Chincharauli**
Leniniana – the Forgotten Phantom of Georgian Painting

მანია იზორია ანა კლდიაშვილი

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

თრიალეთის პეტროგლიფების სამანტიკის შესახებ

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მრავლადაა ძეგლები, რომლებზეც კლდეზე ნაკაწრი ნახატები გვხვდება და ისინი დროის საკმაოდ ფართო დიაპაზონს მოიცავს, დაწყებული პალეოლითიდან, დამთავრებული ბრინჯაოსა თუ ადრეკინის ხანით, ზოგან კი, შუა საუკუნეების ქრონოლოგიური ფენებიცაა მიკვლეული. ზოგი მათგანი შესწავლილი და დათარიღებულია არქეოლოგების მიერ, თუმცა, სახელოვნებათმცოდნეო კუთხით მათი ანალიზი ჯერ არ მომხდარა.

თრიალეთის პეტროგლიფების (სურ. 1) თემაზე მუშაობა 1990-იანი წლების მიწურულს დავიწყეთ. ჩვენი კვლევის შედეგები გამოქვეყნდა 2001 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველო 1“¹, რასაც წინ უძღოდა ამ რიგის სხვა ძეგლების: მღვიმევისა (ზემო იმერეთი, სურ. 2) და აგცას (აფხაზეთი, სურ. 3) ზედა პალეოლითის ძეგლების კვლევა. ეს იყო კლდეზე ნაკაწრი ნახატების სახელოვნებათმცოდნეო კუთხით განხილვის პირველი ცდა.

ზოგადად, პრეისტორიულ მხატვრობასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ნაშრომებსა და ვიზუალურ მასალაზე დაყრდნობით, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ კლდეზე ამოკაწრული გამოსახულებები შესაძლოა ყოფილიყო ე.წ. სახვითი მაგია, რომელიც სავარაუდოდ, რელიგიური რიტუალებიდან წარმოიქმნა. ჩვენს მოსაზრებას საფუძველს უქმნიდა საქართველოში მიკვლეული ისეთი პალეოლითური მღვიმეები (კუდარო, ცუცხვათი), სადაც, მეცნიერების ვარაუდით, დათვის კულტთან დაკავშირებული მაგიური რიტუალები ტარდებოდა. მაგ., კუდაროს გამოქვაბულში აღმოჩენილ მღვიმის დათვის ქალას, რომელიც პირით ცენტრისაკენ იყო მიმართული, ნაჭდევი აჩნდა, რაც ამკარად მის სარიტუალო დანიშნულებაზე მიუთითებდა². აქედან გამომდინარე, კაცობრიობის განვითარების უადრეს ხანაში, ისევე როგორც სხვაგან, ჩვენშიც უნდა არსებულებოდა დათვის კულტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ამ დროს, თავისი რწმენა-წარმოდგენებიდან გამომდინარე, უკვე ატარებდა გარკვეულ რიტუალებს. ეს რიტუალები მაგიური ხასიათისა იყო და ალბათ, მიზნად ისახავდა იმდროინდელი ადამიანისათვის მნიშვნელოვან საგნებზე (ან მოვლენებზე) ზემოქმედებას. ამგვარად, ეს გახლდათ ერთგვარი სარიტუალო მაგია. მოგვიანებით კი, აქედან უნდა წარმოშობილიყო ე.წ. სახვითი მაგია, ანუ ადამიანს რიტუალების ჩატარების დროს, თავყანისცემის რეალური ობიექტი მისი გამოსახულებით – ნახატით, ქანდაკებით – უნდა შეეცვალა. მაშინ სამეცნიერო საზოგადოება არ იზიარებდა ჩვენს მოსაზრებას, რომ კლდეზე ნაკაწრი გამოსახულებები გარკვეულწილად ასახავდა იმდროინდელი ადამიანის რწმენა-წარმოდგენებს³. თუმცა კი, მღვიმევისა⁴ და აგცას⁵ „ნახატების“ აღმომჩენი არქეოლოგები აქ დატანილ გეომეტრიულ ფიგურებს თუ განყენებულ მოტივებს სიმბოლური ხასიათის პირობით ნიშნებად მიიჩნევდნენ. ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის მიუხედავად, ვგრძნობდით ცალკეული მეცნიერების, მათ შორის ოთარ ლორთქიფანიძის, ოთარ ჯაფარიძის და იუზა ხუსცივაძის ინტერესსა და მხარდაჭერას, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. ამჟამად ეს მოსაზრება გაზიარებულია ამ სფეროს მკვლევართა მიერ და ცხადია, რომ ჩვენს ტერიტორიაზე შემორჩენილი კლდეზე ნაკვეთი „ნახატების“ სახელოვნებათმცოდნეო (და არა მარტო) კვლევა კვლავაც დღის წესრიგში დგას.

¹ ა. კლდიაშვილი, მ. იზორია, *საქართველო 1*, ხელოვნების ისტორია უძველესიდან გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანამდე, თბ., 2001, გვ. 4-14.

² В. П. Любин, Высокогорная пещерная стоянка Кударо I, «Известия Всесоюзного Географического Общества», 1959, т. 91, в. 2. გვ. 173-183.

³ მ. იზორია, აგცას მღვიმის ზედა პალეოლითის ხანის გრაფიკული გამოსახულებები, *ACADEMIA*, 2001, 1, გვ. 68-72.

⁴ С. Н. Замятнин, Пещерные навесы Мгвимеми близ Чиатур, *Советская Археология*, 3, 1937, гв. 57-76.

⁵ Л. Н. Соловьев. Надписи и изображения грота Агца у сел. Анухва-Абхазская. Материалы и исследования по археологии СССР, Москва, № 79, 1960, гв. 164-175.

დასაწყისშივე შევნიშნავთ, რომ თრიალეთის პეტროგლიფებისადმი, როგორც ფიზიკური სამყაროს ამსახველი კლდის მხატვრობისადმი, სამეცნიერო საზოგადოების ინტერესი იმთავითვე დიდი იყო. ამას უპირველესად ცხადჰყოფს ის ფუნდამენტური არქეოლოგიურ-პალეონტოლოგიური კვლევა, რომელიც მისმა აღმომჩენებმა თრიალეთის პეტროგლიფებს მიუძღვნეს⁶. თავად ძველი ქვემო ქართლში, წალკიდან 12 კმ-ის დაშორებით, სოფ. განთიადთან მდებარეობს. კლდოვან „ნახატებს“ მდ. ქციის მარჯვენა შენაკადის, მდ. ავდრისწყლის, ადრე პატარა ხრამის ხეობად წოდებულ, ხავსითა და მღიერებით დაფარულ, ტერასებად განლაგებულ კლდოვან მასივზე მიაგნეს. დღეს უკვე ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს⁷ და ამ ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა კვლავ გრძელდება⁸. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ცნობით, ამ სახის პეტროგლიფები, მათ შორის ადამიანი-მონადირეც, მდინარის მარცხენა სანაპიროს კლდოვან ტერასებზე კიდევ რამდენიმე ადგილას გამოვლინდა (2018). ამიტომ, ვარაუდობენ, რომ ხეობა თავის დროზე, მთლიანად იქნებოდა დასახლებული.

თრიალეთის კლდოვან მასივზე აღმოჩენილი მცირე ზომის გამოსახულებანი (მათი ზომა 2.5-20 სმ-მდე მერყეობს) რამდენიმე ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა და მათგან ყველაზე ადრეული (სურ. 4), სავარაუდოდ, მეზოლითის ხანით თარიღდება, ხოლო მომდევნო ფენები შუა ბრინჯაოს ხანამდე აღწევს⁹. კლდოვან მასივზე, 50 მ-ის სიგრძეზე, გამოსახულებები ჯგუფ-ჯგუფადაა დატანილი. აქ უმეტესად წარმოდგენილია ცხოველები (სურ. 5), თუმცა, მათ გვერდით ადამიანთა გამოსახულებებიც გვხვდება (სურ. 6). გარდა ამისა, აქ წარმოდგენილია გეომეტრიული ფორმებით გადმოცემული ასტრალური თუ სხვა სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ნიშნები.

ჩვენ ამ ნაშრომში ძირითადად, ცხოველებისა და ადამიანების გამოსახულებებს შევეხებით. რო-

⁶ მ. გაბუნია, ა. ვეკუა, *პატარა ხრამის პეტროგლიფები*, თბ., 1980, გვ. 85.

⁷ კულტურული მემკვიდრეობის პორტალი <https://mem-kvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=16087>

⁸ მ. გაბუნია, მ. გაბაშვილი, თრიალეთის პეტროგლიფები – განადგურების საფრთხის ქვეშ, *რეგიონალური თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის*, #5, 2014, <http://rcchd.icomos.org.ge/?l=G&m=4-4&JID=5&AID=40&I2>

⁹ მ. გაბუნია, ა. ვეკუა, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 9-10, 58-72.

გორც წესი, ამ ტიპის „ნახატებზე“ მუდამ შესაბამისი ადგილისათვის დამახასიათებელი ფაუნა ასახული. ნამარხი ძვლების მიხედვით, მართლაც დადასტურდა, რომ თრიალეთის კლდოვან მასივზე ის ცხოველებია გამოსახული, რომლებიც ოდესღაც საქართველოში ბინადრობდნენ: კეთილშობილი ირემი, დათვი, ცხენი, არჩვი, ნიამორი, ძროხა, ხარი, შველი, გველი და ალბათ, აქლემიც. აქვე გვხვდება როგორც ფრინველთა გამოსახულებები, ასევე ფანტასტიკური და ჰიბრიდული ცხოველები: ცხენი აქლემის კუზით, ფრინველი კუს ბაცნით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოქვაბულის კედლებზე ცხოველები ჯგუფებადაა განლაგებული და ეს ჯგუფები ერთგვარი მოწესრიგებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ მხრივ თრიალეთის პეტროგლიფები განსხვავდება საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეულ წინარე ხანის მღვიმეებისა და აგვას ქაოსურად განლაგებული გამოსახულებებისაგან. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ეტაპზე უძველეს ადამიანს უკვე უჩნდება სიბრტყის გააზრებულად ათვისების ანუ სიბრტყეზე გამოსახულებათა გარკვეული პრინციპით (ამ შემთხვევაში ჯგუფებად) განაწილების სურვილი, ანუ ჩვენ აქ კომპოზიციის ჩასახვასთან გვაქვს საქმე.

ცხოველები თრიალეთის პეტროგლიფებზე მუდამ პროფილში არიან გამოსახული. მათი უმეტესობა ერთ მხარესაა მიბრუნებული და ამით ჯგუფებში ერთიანი მიმართულება იქმნება. თუმცა კი, თავად გამოსახულებები სტატიკურია, მოძრაობას და დინამიკას მოკლებული. ზოგიერთი ცხოველის ფიგურა ჯგუფისაკენ ზურგმუქვევითაა გამოსახული ზოგი ისრითაა დაჭრილი (სურ. 7), ზოგიც მანებშია გაბმული; რამდენიმე შეთხვევაში ერთი ან ორი ცხოველი ჯგუფისაგან განცალკევებითაა მოცემული და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ის ჩამორჩა და ვეღარ ეწევა დანარჩენებს. ჯგუფებში აქა-იქ მცირე სცენებია ჩართული, მაგ. ცხენების რემა (სურ. 8), ცხენი კვიცით ან ფურირემი ნუკრით; ზოგან ნუკრი ძუძუს წოვს. მეტად საინტერესოა ერთი გამოსახულება – ფურირემის წიაღში ჩახატული ნუკრის ფიგურა (სურ. 9), ამ შემთხვევაში, ალბათ, მაკე ირემია წარმოდგენილი. ამგვარი დეტალები ერთგვარ სიცოცხლეს ანიჭებს სცენებს.

ცხოველთა შორის ყველაზე ხშირად ირემი და ცხენი გვხვდება. ირემი, თავისი ქორბუდა რქების გამო, პალეოლითის ხანაშივე წმინდა ცხოველად ითვლებოდა. მაღალი, დატოტვილი რქები ზეცასთან, სულიერ სამყაროსთან დამაკავშირებელ

ელემენტად მოიზრება. აქედან გამომდინარე, რქას საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა და თაყვანისცემის საგანგებო ობიექტი იყო. ანუ არსებობდა რქის კულტი. ამას ადასტურებს მღვიმეში დიდი რაოდენობით ნაპოვნი, მაგიური ნაჭდევებით დაფარული, სხვადასხვა ცხოველის რქები. ირემი რქების სიდიდით გამორჩეულია სხვა დანარჩენი რქოსანი ცხოველებისგან (ჯიხვი, არჩვი, ნიამორი) და ამიტომ უძველესი ადამიანის წარმოსახვაში ის ღვთაებრივი ნიშნით აღიბეჭდა. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომაც ის გამოსახული თრიალეთის პეტროგლიფებზე ყველაზე ხშირად. რქის საკრალურ მნიშვნელობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევხვით თრიალეთის პეტროგლიფებზე წარმოდგენილ ხარის გამოსახულებებს (სურ. 10), რომლებიც, ალბათ, სწორედ ამ ნიშნით შეარჩია აქ მოსახლე უძველესმა ადამიანმა. სავარაუდოა, რომ სწორედ ირმისა და ხარის გრძელმა და წაწვეტილებული ფორმის რქებმა და მათმა საკრალურმა მნიშვნელობამ განაპირობა მოგვიანებით, ამ ორი ცხოველის ერთ არსებად, ხარირემად გაერთიანება (სურ. 11). ირმის გარდა, ყველაზე ხშირად თრიალეთის პეტროგლიფებზე ცხენი გვხვდება (სურ. 12); რამდენჯერმე ის, აქლემის მსგავსად, ორი ან ერთი კუზითაა წარმოდგენილი. ეს კუზიანი ცხოველი რომ ნამდვილად ცხენია, ამას აქვე გამოსახული აქლემის ფიგურასთან შედარება ცხადჰყოფს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხენი ამ დროს ჯერ კიდევ არაა მოშინაურებული ადამიანის მიერ, მაშინ ეს ფორმა მის ზურგზე არ შეიძლება საპალნეს აღნიშნავდეს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცხენის კუზისებურ ფორმას გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ცხადია, იბადება კითხვა: ხომ არ არის რაიმე კავშირი რქასა და კუზს შორის? ხომ არ არის შესაძლებელი, სახვით მაგიაში რქისა და კუზის ანუ ცხოველის სხეულზე არსებული წანაზარდების სიმბოლური მნიშვნელობა ერთმანეთის მსგავსი, ან სულაც იდენტური ყოფილიყო? სავსებით დასაშვებია, რომ კუზი ცხენის სხეულზე, ისევე როგორც ირმისა და ხარის რქა, ღვთაებრიობის ნიშანი იყოს და რქის საშუალებით ამ ცხოველთა ზეციურ სამყაროსთან კავშირზე მიგვანიშნებდეს. ამ აზრს განამტკიცებს აქვე გამოსახული ერთ-ერთი ფანტასტიკური ცხოველის ზურგზე ხაზით მონიშნული ორი კონუსისებური პატარა კუზი, რითიც უდავოდ, ამ ცხოველის ღვთაებრიობა და მისი ზეციურ სამყაროსთან კავშირია ხაზგასმული. ამგვარად, შესაძლოა, ცხენის

გამოსახულებაზე დატანილი ერთი ან ორი კუზი, სწორედ მისი ღვთაებრიობის ნიშანი იყოს. როგორც ჩანს, მოგვიანებით ეს ფორმა, ანუ კუზი ფრთამ შეცვალა და სავარაუდოა, რომ აქედან წარმოიშვა ზღაპრული ფრთოსანი რაში – ჰეგასი.

ამრიგად, ირემი და ცხენი უძველესი ადამიანის წარმოდგენით, ზეცასთან კავშირში მყოფი ცხოველებია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ეს ორი ცხოველი – ირემი და ცხენია ამ პეტროგლიფებზე სამონადირეო ბადეში გაბმული (სურ. 13). რას უნდა ნიშნავდეს ეს გამოსახულება? შესაძლოა, აქ უბრალოდ ნადირობის ეპიზოდია ასახული, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ამ გამოსახულების მიღმა გარკვეული აზრი ამოვიკითხოთ და სამონადირო მახე-ბადე „სულების შესაპყრობ“ საკრალურ ატრიბუტად მივიჩნიოთ. უძველესი ადამიანის რწმენით, წმინდა ცხოველის შეპყრობით, იგი კავშირს ამყარებს ზეციურ, სამყაროს მამოძრავებელ ძალებთან და ზემოქმედებს მათზე. ბადისებური ფორმა რომ მართლაც საკრალური ატრიბუტია, ამაზე მეტყველებს მისი გამოყენება სხვა გამოსახულებებზეც, მაგ., ერთ-ერთ სცენაზე გვხვდება უცნაური არსება ფრინველის თავითა და ფეხებით, მისი სხეული კი ურთიერთგადამკვეთი ხაზებითაა დაფარული, რომლებიც ბადისებურ ფორმას ქმნის. ამ ფორმას ზოგი კუს ბაცნად აღიქვამს და, შესაბამისად, ამ არსებას კუს გამოსახულებად მიიჩნევს, მაგრამ მისი ფეხების სახასიათო მოყვანილობა და თავის ფორმა აშკარად ფრინველისაა. მის ფეხებთან გაწოლილი გველია გამოსახული (სურ. 14). შესაძლოა, ეს სცენა ქართულ მითოსში მოგვიანებით დადასტურებული ფრინველისა და გველის (როგორც ზესენელის – კეთილი და ქვესენელის – ბოროტი ძალების) ორთაბრძოლის არქაული, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფორმა იყოს. ზესენელის კეთილ ძალას ფრინველი განასახიერებს და სწორედ ამით აიხსნება მისი სხეულის ბადისებური ანუ საკრალური, ღვთაებრივი ფორმით დაფარვა.

თრიალეთის პეტროგლიფების მთავარი სიახლე ადამიანის გამოსახულებაა (სურ. 15). ეს ადამიანი მონადირეა. პროფილში გამოსახულ ცხოველთა ფიგურებისაგან განსხვავებით, იგი ყოველთვის ფასშია წარმოდგენილი. მისი სხეული მარტივად ამოკაწრული კონტურის ხაზითაა მონიშნული და სახეზეც ნაკვთები პრიმიტიულადაა დატანილი. ადამიანი მშვიდად დგას და არ მისდევს ცხოველს,

როგორც ეს, უმეტესად, თანადროულ ძეგლებზე გვხვდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა შემთხვევაში მას ხელში ჯოხი უჭირავს. ჯოხი, ეთნოგრაფიული კვლევებით, კვერთხის წინარე სახეა. კვერთხი კი, როგორც ცნობილია, ოდითგანვე ხელდასხმისა და ძალაუფლების სიმბოლო იყო. ამგვარად, აქ გამოსახული მონადირე, ალბათ, ის რჩეულია, რომელსაც ცხოველების საშუალებით ზეციურ ძალებთან კავშირის დამყარებისა და მათზე მაგიური ზემოქმედების უნარი გააჩნია. უცნაურია ისიც, რომ ადამიანს ხელში არასდროს უჭირავს მშვილდ-ისარი, ეს იარაღი ყოველთვის მის გვერდითაა გამოსახული და უმეტეს შემთხვევაში ისიც ბადისებური ფორმითაა დაფარული. აქედან გამომდინარე, მშვილდ-ისარიც საკრალურ იარაღად შეიძლება მივიჩნიოთ, რომლითაც ადამიანი წმინდა ცხოველზე ნადირობდა. აღსანიშნავია, რომ აქ არსადაა გამოსახული უკვე მოკლული ცხოველი, არამედ – მხოლოდ დაჭრილი, ანუ აქ ხაზგასმულია ადამიანის მიერ ცხოველის ცოცხლად შეპყრობის მომენტი. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ნადირობის პროცესი აქ ასახული არაა, ანუ არაა რეალურად წარმოდგენილი ნადირობის სცენა, თუ როგორ მისდევს მონადირე ცხოველს, როგორ უმიზნებს მას მშვილდ-ისარს და ა. შ.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ საქმე გვაქვს უფრო ნადირობის საკრალური, სიმბოლური არსის გადმოცემასთან, ვიდრე ნადირობის უშუალო ასახვასთან, მოქმედების ილუსტრირებასთან, ამბის თხრობასთან. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ნადირობის ქუმარიტი არსი? ყველა მეცნიერი, რომელიც ამ თემაზე შესრულებულ უძველეს ნახატებს განიხილავს, თვლის, რომ ნადირობის სცენა ბუნების ამალორძინებელ ნაყოფიერების ძალებზე მაგიური ზემოქმედების რიტუალს ასახავს. ამ რიტუალის აღმასრულებელი კი, როგორც ჩანს, თავად მონადირეა.

აღსანიშნავია, რომ ცხოველთა ფიგურები ბევრად უფრო ოსტატურადაა შესრულებული და ბევრად ცოცხალია, ვიდრე ადამიანისა; მათი გამოსახულებები კონტურის ხაზითაა ამოკაწრული და ცხოველის იმ სახასიათო ფორმას უსვამს ხაზს, რომლითაც მისი ამოცნობა გვიადვილდება. მაგ., აქლემისა და კუზიანის ცხენის გამოსახულებებს მათი თავების სახასიათო ფორმით ვანსხვავებთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თრიალეთის პეტროგლიფები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ახალ-ახალი გამოსახულებებით მდიდრდებოდა.

ამ დასკვნის საფუძველია ის, რომ ნახატების სხვადასხვა ჯგუფი სტილისტურად ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან. უადრესი ფენა, რომელიც სულ რამდენიმე გამოსახულებას მოიცავს, განვითარებული მეზოლითის ხანას უნდა განეკუთვნებოდეს და ამ ფენის ცხოველთა გამოსახულებები განსაკუთრებული სიცოცხლით გამოირჩევა. ამ გამოსახულებათა შემთხვევაში, კონტურის ხაზი დენადია, სილუეტი – მოქნილი, პლასტიკური და ცოცხლად გადმოგვცემს ცხოველის სახასიათო ფორმებს. სწორედ ამ ფენას ეკუთვნის ირმებისა და შვლების გამოსახულებები. უფრო მოგვიანო ფენაზე პირობითობა ძლიერდება: კონტურის ხაზი ალაგ-ალაგ კუთხოვანია, ზოგან კი ტეხილია. ამ დროისა უნდა იყოს ცხენების რემა, მახეში გაბმულ ცხოველთა გამოსახულებები და ასევე, ადამიანთა ფიგურებიც. დანარჩენი გამოსახულებანი უკიდურესად სტილიზებული და სქემატურია და უფრო გვიანდელ ეპოქებს, სავარაუდოდ, ადრე და შუა ბრინჯაოს ხანებს განეკუთვნება.

ამგვარად, აქ წარმოდგენილი სხვადასხვა პერიოდის გამოსახულებები გვარწმუნებს იმაში, რომ მდ. ავდრისწყლის (ყოფილი პატარა ხრამის) კლდოვანი მასივი ხანგრძლივი დროის განმავლობაში წმინდა ადგილად ითვლებოდა. ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული აგცას, ქვემო ქართლში, სოფ. კასუმლოსთან აღმოჩენილი დამირ-გაიასა¹⁰ და ზემო იმერეთში, უახლოეს წარსულში გახსნილი უნდო კლდე-ფიცისწყაროს¹¹ მრავალფენიან ძეგლებსაც, ალბათ, ასევე წმინდა ადგილის, სალოცავის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ხოლო რიტუალი, რომელიც აქ ტარდებოდა უცვლელი უნდა ყოფილიყო, რადგან რიტუალთან და კულტთან უშუალოდ დაკავშირებული ნახატების შინაარსი და გამოსახულებათა სემანტიკური მნიშვნელობები პრაქტიკულად არ იცვლება.

როგორც აღვნიშნეთ, თრიალეთის პეტროგლიფების ცხოველების ერთი მცირე ჯგუფი მეზოლითის ხანის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც მეტად თავისებურია და პირდაპირი ანალოგები არ მოეპოვება. სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე აღმოჩენილი თანადროული, იდენტური შინაარსის

¹⁰ მ. მენაბდე, თ. კილურაძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-81 წლების მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, XIII, თბ., 1986, გვ. 27-28.

¹¹ მ. თუმაბრამიშვილი, პალეოლითური სადგომის უნდო კლდის კვლევის წინასწარული შედეგები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, #1, 2009, გვ. 47-58.

მქონე გრაფიკული გამოსახულებები უფრო ილუსტრაციულ, აღწერით ხასიათს ატარებს და გარკვეულწილად, თხრობით ელემენტებსაც შეიცავს მაშინ, როდესაც თრიალეთის ყველა ფენის პეტროგლიფებში აზრის განყენებული, პირობითი ფორმით გადმოცემასთან გვაქვს საქმე. მეზოლითის მომდევნო ფენის ნადირობის სცენებიც კი უშუალოდ ნადირობას არ ასახავს და მხოლოდ გულისხმობს ამ ქმედებას. თრიალეთის პეტროგლიფების კონტურული ნახატიც განზოგადებული, გეომეტრიული და სქემატურია. ეს ყოველივე კი, ჩვენს ტერიტორიაზე უძველეს ხანაშივე არსებულ გარკვეულ მემკვიდრეობითობასა და ტრადიციის უწყვეტობაზე მიგვითითებს.

თრიალეთის პეტროგლიფების თვითმყოფადობა იმაშიც ვლინდება, რომ სხვადასხვა ქვეყნის თუ რეგიონის: ესპანეთის, საფრანგეთის, ბაიკალისპირეთის, ქვემო ამურის, კარელიის, ყირიმის, ციმბირის, შუა აზიის თუ აზერბაიჯანის ამავე ხანისა და ამავე ტიპის გრაფიკულ „ნახატებთან“ მსგავსება, წინასწარი მონაცემებით, მხოლოდ ცალკეული ელემენტებით ამოიწურება.

ცხადია, რომ თრიალეთის პეტროგლიფები შემდგომ კვლევას მოითხოვს და საჭიროა მათი შედარება, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ მასალასთან, ისე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ იმავე რიგის თუ პერიოდის ძეგლებთან, მით უფრო, რომ ფიზიკური სამყაროს ამსახველი „ნახატების“ ტრადიცია შუა საუკუნეებშიც აგრძელებს არსებობას ჩვენი ქვეყნის მთასა და ბარშიც.

MAIA IZORIA
ANA KLDIASHVILI

Apollon Kutateladze Tbilisi State Academy of Art

ON THE SEMANTICS OF THE TRIALETI PETROGLYPHS

The article discusses Trialeti petroglyphs - prehistoric rock art discovered in the Southern Georgia, Tsalka district of the Kvemo Kartli (Eng. Lower Kartli) region, village of Gantiadi (Eng. Dawn). They were found in the canyon-like valley of the Avdriskhevi river on the bare rocks of the river terraces. According to the typological characteristics of the lithics they date back to the Mesolithic period, as well as the early and late Bronze Age.

The study which started in the late 1990s focuses on the Trialeti petroglyphs. Results of the research were published in 2001 in the book "Georgia I" being the first attempt to analyze the bare rock scraped images from the art historical point of view. The images from different periods revealed that for an extended period this massive rocky area, historically known as Trialeti, served as a sacred (holy) site.

Based on the semantic structure of the scraped images, it became clear, that the scholars were dealing with conventional forms, i. e. the images conditioned by the social customs and the belief systems of their creators. The petroglyphs should not be understood as direct illustrations (mimesis) of hunting scenes, but rather a depiction of sacred and symbolic essence of hunting. Pictorial language of the Trialeti petroglyphs is very laconic and schematic with no analogues found in the world. All discovered details point to a continuous presence of a certain tradition on the territory. It takes its origin from the ancient times and demonstrates unbroken and consistent development over a long period of time.




1. ხედი თრიალეთის პეტროგლიფების კლდოვან მასივზე
View of the rocky massif of Trialeti petroglyphs




3. აგცას მღვიმის გამოსახულებები, აფხაზეთი
Figures of the Agtsa Cave, Abkhazia, Upper Paleolithic Age

2. მღვიმევის გეომეტრიული ფიგურები, იმერეთი
Geometric figures of the Mghvimevi Cave, Imereti,
Upper Paleolithic Age




4. ირემი, მეზოლითი, თრიალეთი
Deer, Mesolithic Age, Trialeti




5. ცხოველების გამოსახულებები, თრიალეთი
Figures of animals, Trialeti




6. ადამიანის გამოსახულება, თრიალეთი
Figure of a human, Trialeti




7. დაჭრილი ირემი, თრიალეთი
A wounded deer, Trialeti




8. ცხენების რემა, თრიალეთი
The herd of Horses. Trialeti




9. მაკე ფურირემი, თრიალეთი
A pregnant female deer, Trialeti




10. ხარი და გველი, თრიალეთი
A bull and a snake, Trialeti




11. ხარირემი ბადეში, თრიალეთი
A bull in the net, Trialeti



12. კუზიანი ცხენი, თრიალეთი
A humpbacked horse, Trialeti




13. მახეში გაბმული ცხენი, თრიალეთი
A horse in a trap, Trialeti



14. ფრინველი და გველი, თრიალეთი

A bird and a snake, Trialeti



15. ადამიანის გამოსახულება, თრიალეთი

Figure of a human, Trialeti